დამტკიცებულია
სსიპ – თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამის
შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის #124/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ და თსსუ–ის შინაგანაწესის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ თსსუ–ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3 დადგენილების, თსსუ–ის რექტორის ბრძანების #102/01, 21.12.2010 და თსსუ–ის ფაკულტეტების დებულებათა საფუძველზე.

თავი I
ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამ(ები)ისადმი

მუხლი 1

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობას, რომლის მიზანია კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის დონის შესაბამისად. საგანამანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და განსაზღვრავდეს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს; მიღებული კომპეტენციები აუცილებელი პირობაა პირის შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის; მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მიმართულებებს, დარგებს/სპეციალობებს ან/და ქვედარგებს/სპეციალიზაციებს (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

მუხლი 2

თსსუ ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს: საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

მუხლი 3

1. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს შესაბამისი დარგობრივი ცოდნისა და უნარების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მუშაობისათვის მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ასევე, მაგისტრატურა/რეზიდენტურა/დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისათვის.

2. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა (ECTS-ით): მოიცავს არანაკლებ 360/300 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამების ყველა კომპონენტს შორის. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან (გეგმიდან) გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამით სწავლების/სწავლის მინიმალური ვადაა 12/10 სემესტრი;

3. პროგრამით სწავლის შედეგები განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით.

4. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა შესაბამისად 360/300 კრედიტის დაგროვება, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად

მუხლი 4

1. საბაკალავრო პროგრამა აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისებას, რაც ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მუშაობისათვის მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან (გეგმიდან) გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე

ნაკლები, ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამით სწავლების/სწავლის მინიმალური ვადაა 8 სემესტრი;

4. უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურისათვის მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე (პროგრამის სწავლის შედეგები) განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 240 კრედიტის დაგროვება, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 5

1. სამაგისტრო პროგრამა აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც, სასწავლო კომპონენტთან ერთად, მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის, ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე, პირს ამზადებს დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისა გაგრძელებისათვის ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა არანაკლებ 120 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. მაგისტრანტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და მაგისტრანტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამით სწავლების/სწავლის მინიმალური ვადაა 4 სემესტრი;

3. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ სამაგისტრო ნაშრომს. შესაძლებელია, სამაგისტრო პროგრამა მოიცავდეს პრაქტიკული კომპონენტსაც.

4. უმაღლესი განათლების II საფეხურზე (მაგისტრატურაში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე (პროგრამით სწავლის შედეგები) განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).5. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 120 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად (სამაგისტრო ნაშრომის დაცვით).

მუხლი 6

1. სადოქტორო პროგრამა აკადემიური უმაღლესი განათლების III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაა. დოქტორანტურის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო კვლევის პროგრამის მიხედვით სამეცნიერო-პედაგოგიური კადრის მომზადება, რომელიც მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2. სადოქტორო პროგრამა უნდა მოიცავდეს სწავლებას და სამეცნიერო კვლევას, რომლის თეორიულ, ექსპერიმენტულ და/ან კლინიკურ შედეგებს არსებითი მნიშვნელობა ექნება ჯანდაცვის მიმართულების შესაბამისი დარგის/სპეციალობებისათვის.

3. სადოქტორო პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სადოქტორო პროგრამის მოცულობის 75% უნდა მოიცავდეს კვლევით კომპონენტს (სადოქტორო კვლევა), ხოლო 25% - სასწავლო კომპონენტს (სასწავლო კურსები).

4. თუ სადოქტორო კვლევის პროგრამა ითვალისწინებს კვლევაში ადამიანის ჩართვას და/ან კვლევას ადამიანის ბიოლოგიურ მასალებზე და/ან მონაცემებზე, პროგრამა და თანმხლები დოკუმენტაცია პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის ეთიკური შეფასებისათვის გადაეცემა თსსუ-ის ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტს, რომლის დადებითი დასკვნა აუცილებელია სადოქტორო კვლევის პროგრამის დასამტკიცებლად. ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტის მუშაობის წესი, პროგრამის წარდგენისა და მისი შეფასების ვადების ჩათვლით, განისაზღვრება კომიტეტის დებულებით.

5. თუ სადოქტორო კვლევის პროგრამა ითვალისწინებს ცხოველებზე ექსპერიმენტის ჩატარებას, პროგრამა და თანმხლები დოკუმენტაცია შესაფასებლად გადაეცემა თსსუ-ის ცხოველებზე წარმოებული კვლევის კომიტეტს, რომლის დადებითი დასკვნა აუცილებელია სადოქტორო კვლევის პროგრამის დასამტკიცებლად. ცხოველებზე წარმოებული კვლევის კომიტეტის მუშაობის წესი განისაზღვრება კომიტეტის დებულებით.

6. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 (სამი) წლით და მოიცავს 180 კრედიტს; კლინიკურ დისციპლინებში დოქტორანტურაში სწავლის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს 4-5 წლამდე კრედიტების იგივე მოცულობის შენარჩუნებით.

7. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 180 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად (დისერტაციის დაცვით).

თავი II

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

მუხლი 7

1. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს (შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი), კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.

2. უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, აძლევს სტუდენტებს აკადემიურ ცოდნას, ასევე, პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარებს.

3. პროგრამა შედგენილ უნდა იყოს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ჰქონდეს თანმიმდევრული, კანონმდებლობით დადგენილის შესაბამისი სტრუქტურა და დამტკიცებული იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

4. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტზე და სწავლის შედეგზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ.

6. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.

7. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით შეირჩევა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევის გზები.

8. პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ", დარგობრივი სტანდარტები, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და დებულებები;

9. პროგრამის ყველა კომპონენტი უნდა იყოს ასახული პროგრამის სასწავლო გეგმაში.

10. პროგრამის ცალკეული ერთეულის (კურსი/მოდული და სხვ.) სწავლის შედეგები უნდა ქმნიდეს საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. კომპეტენციები უნდა ვითარდებოდეს პროგრესირებადი გზით: მარტივიდან რთულამდე, ზოგადიდან - კონკრეტულამდე.

11. პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში

მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს;

ბ) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვ.

12. საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი/–ები, პასუხისმგებელი პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებაზე და პროგრამის ყველა კომპონენტის ეფექტური მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს, ასევე, პროგრამის დირექტორი და/ან პროგრამის კოორდინატორი.

13. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

14. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებას, განვითარებას და მოდიფიცირების/ცვლილების შეტანის ორგანიზებას.

15. პროგრამის ხელმძღვანელი(ებ)ი პასუხისმგებელია:

ა) პროგრამის შესაბამისობაზე საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან, სტუდენტების სრულად და დროულად ინფორმირებაზე პროგრამის კურიკულუმის, სასწავლო კურსების/კომპონენტების და სხვ. შესახებ,

ბ) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე,

გ)ადამიანური რესურსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პროგრამის (მისი კომპონენტების) განხორციელების მოთხოვნებთან,

დ) კოლაბორაციაზე დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან პროგრამის განვითარების თვალსაზრისით.

16. პროგრამის დირექტორი უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდური აქტივობის დაგეგმვას, ორგანიზებას, აღრიცხვას და კონტროლს.

17. პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)სა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სუბიექტებსა და სტრუქტურებს შორის.

18. პროგრამის დირექტორი და კოორდინატორი ანგარიშვალდებულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წინაშე.

თავი III

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

მუხლი 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება ფაკულტეტზე; ფაკულტეტი, ასევე, განახორციელებს ცვლილებებს და უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, კოორდინაციას უწევს პროგრამის და კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობას და გამჭვირვალობას.

2. საგანმანათლებლო პროგრამა (პროექტი) შესაფასებლად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურიდან დადებითი საექსპერტო შეფასების მიღების შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა კურიკულუმის კომიტეტს, სადოქტორო კვლევის შემთხვევაში – სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს.

3. ფაკულტეტის საბჭო, საგანმანათლებლო პროგრამის სხდომაზე განხილვის შემდგომ, იღებს/არ იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის წარდგენის შესახებ თსსუ–ის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

4. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/ცვლილებების აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ, თუ:

ა) პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და პრიორიტეტებს,

ბ) ითვალისწინებს შესაბამის სფეროში/დარგში არსებულ სიახლეებს,

გ) უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას,

დ)უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე,

ე) არსებობს პროგრამის განხორციელების მატერიალური და ადამიანური რესურსები და სხვა.

თავი IV

საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის შეფასება და განვითარება

მუხლი 9

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის მიერ სასწავლო პროგრამების შეფასება ხდება სასწავლო წელიწადში ერთხელ. შეფასების პროცესში გამოყენებულია შიდა და გარე შეფასების ფორმები. ორივე შემთხვევაში გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი. შემუშავებული სიახლეები და კრიტერიუმები საჯაროა და განთავსებულია თსსუ–ის ვებ–გვერდზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგები და შეფასებები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიურ საბჭოს, განთავსდება ვებ–გვერდზე.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურიკულუმის კომიტეტი და მართვის სხვა ორგანოები.

3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA მიდგომას (შოვჰარტის ციკლი): P – Plan - დაგეგმე, D – Do - განახორციელე, C – Check - შეამოწმე, A – Act - განავითარე. ყოველი ფაზის დასრულება წინაპირობაა შემდეგი ფაზის დაწყებას და ა.შ. PDCA პროცესი უწყვეტია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად ყოველწლიურად მზადდება თვითშეფასების ანგარიში. პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

5. ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მონიტორინგი.

6. ყოველწლიურად ტარდება პროგრამაში ჩართული და დაინტერესებული პირების გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი კითხვარებით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებს ყველა საგანმანათლებლო საფეხურისათვის;

ბ) სილაბუსის შეფასების კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს შიდა შემფასებლის მიერ მის შევსებასა და დასკვნის წარმოდგენას;

8. შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებსა აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლებისათვის.

თავი V

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა

მუხლი 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ.

2. ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები,

ბ) პროგრამის გარე შეფასება,

გ) სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა;

დ)აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით,

ე) პროგრამის განვითარება და გაძლიერება.

3. პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი/–ები, პროგრამაში ჩართული პერსონალი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინფორმაცია ცვლილების შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს; იმ შემთხვევაში, თუცვლილება ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

თავი VI
საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

მუხლი 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება კანონმდებლობას და ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს,

ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე არ არის ჩარიცხვის მსურველი სტუდენტები ზედიზედ ექვსი აკადემიური წლის განმავლობაში,

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას,

დ) არსებობს ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას,

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის ან/და დეკანის ინიცირებით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით მიიღება ფაკულტეტის საბჭოზე.

3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

4. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის, იურიდიულ სამსახურს და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

5. უნივერსიტეტის ინიციატივის პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს სტუდენტის დროულ ინფორმირებას და, სტუდენტის არჩევანის შესაბამისად, ხელს უწყობს მას უნივერსიტეტის სხვა მომიჯნავე/მსგავს მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაში (ისარგებლოს მობილობის უფლებით).

6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.